ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№GOG/ RDP3/D/C/ /01

ქ. თბილისი „30“ „დეკემბერი “ 2014წ

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის ბ-ნი ილია დარჩიაშვილის სახით და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ბ-ნი მამუკა მახათაძე (შემდგომში - მიმწოდებელი) , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2424 განკარგულების თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.
1.3.„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4.„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5.„დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად <u>რეგიონული განვითარების მესამე პროექტისთვის ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მომზადების მომსახურება</u> (შემდგომში მომსახურება) (cpv79300000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მიწოდებული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6250 (ექვსიათას ორასორმოცდაათი) ლარს.
3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1(ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის.
3.3.ხელშეკრულების ღირებულება გარდა 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებისა მოიცავს ხელზე ასაღებ თანხას, რომელიც შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს და საშემოსავლო გადასახადს, რომელიც შეადგენს 1250 (ერთი ათას ორასორმოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და მიწოდების ვადები

4.1.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, მომსახურების მიწოდებისთვის გასატარებელი

ღონისძიებები, მომსახურების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება მომსახურების გაწევისათვის მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (ტექნიკური დავალება), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2.მომსახურების გაწევის ვადა მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1(ტექნიკური დავალება).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მომსახურების განხილვა-შეთანხმება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიზანშეწონილობის კვლევის სპეციალისტი ვახტანგ ფარცხალაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების წარდგენისა და მიღება-ჩაბარების პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1.

6.3.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიზანშეწონილობის კვლევის სპეციალისტი ვახტანგ ფარცხალაძე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4. საშემოსავლო გადასახადის გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება, კონფიდეციალურობა და სავტორო უფლება

9.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია და დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა სახის მასალა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტის შემდგომაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მიწოდებული დოკუმენტაციისა და მისი შემადგენელ ყველა ნაწილთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდეციალურობის დაცვა.
9.3.საავტორო ულების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.მხარეთა ვალდებულებები

10.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11.მხარეთა უფლებები

11.1მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11.2 შემსყიდველს უფლებააქვს:

11.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

11.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12.ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია

წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.1. მხარეთა შეთანხმებით;

17.2. ხელშეკრულების 16.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

17.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

19.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი"

ს/კ 206074193
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150
ს/ს ბანკი რესპუბლიკა
ბანკის კოდი № 220 101 757
ა/ა GE34BR0000010975120582

ილია დარჩიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი"
ფიზიკური პირი მამუკა მახათაძე

პ/ნ 01008010759
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 43 ბ.35
ტელ:599238887
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE65BG0000000363359700

მამუკა მახათაძე

GOG/ RDP3/D/C/ /01 ხელშეკრულების დანართი N1

ტექნიკური დავალება საკონსულტაციო მომსახურეობისთვის

რეგიონული განვითარების მესამე პროექტისთვის ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მომზადება

I. საფუძველი

საქართველოს მთავრობამ ითხოვა მსოფლიო ბანკისაგან 60 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება რეგიონული განვითარების მესამე პროექტის (RDP3) განსახორციელებლად. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 75 მლნ. აშშ. დოლარს, რაშიც შედის 15 მლნ. აშშ. დოლარი - საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა. შემოთავაზებულ პროექტს განახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ).

RDP3 პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების მხარდაჭერით ტურიზმის ეკონომიკის განვითარება სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. გათვალისწინებული სამუშაოები პირდაპირ სარგებელს მოუტანს ამ რეგიონის მოსახლეობას და იქ ჩასულ ტურისტებს. კერძოდ კი, პროექტის შედეგად გაუმჯობესდება კომუნალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, ხარისხი, და სანდოობა; გაიზრდება კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობა რეგიონში; და გაიზრდება სავაჭრო პუნქტების რაოდენობა (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე და ქალაქებში. მთავრობა სარგებელს მიიღებს შერჩეული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობიდან. საერთო ჯამში, მოსახლეობა ისარგებლებს უფრო მაღალი შემოსავლებითა და ცხოვრების გაუმჯობესებული ხარისხით.

<u>სამცხე-ჯავახეთის კონტექსტი</u>- რეგიონის ფართობი 6 413 კვადრატული მეტრია. მოსახლეობა 208 000. რეგიონში შედის 6 მუნიციპალიტეტი და მისი ადმინისტრაციული ცენტრია ახალციხე. მთავარი ურბანული ცენტრებია ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე და ნინოწმინდა. 2011 წელს, საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 856,5 ლარს, ხოლო საშუალო თვიური დანახარჯი 830,8 ლარი ერთ სულ მოსახლეზე. 2013 წელს, რეგიონს ესტუმრა 200 000 უცხოელი ტურისტი. რეგიონში არის 160 სასტუმრო მომსახურების ობიექტი, რომელთაგან 55% ოჯახის ტიპის მისაღები, 36% -სასტუმროები და 4% -საოჯახო ტიპის სასტუმროებია (ე.წ. guest house). რეგიონში 57 კვების ობიექტია, რომელთაგან 62% რესტორნებს, 28%- კაფეებს და 5%- კაფე-ბარებს უჭირავს. აქ არის აგრეთვე 11 საბაკო მომსახურების ოფისი ბანკომატებით. რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ანალიზმა აჩვენა რომ რეგიონს აქვს ტურიზმის სფეროში მზარდი პოტენციალი, კერძოდ,

სათხილამურო ინფრასტრუქტურა ბაკურიანში, ხარაგაულში, ბორჯომის ეროვნულ პარკი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, ფლორა და ფაუნა, და ენდოგენული მოსახლეობა თავის ტრადიციებით ერთგვარი სტიმულია რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის. თუმცა არსებობს ნაკლოვანებებიც, რომელიც ხელს უშლის ტურიზმის სექტორი უფრო სწრაფ განვითარებას. კერძოდ, მაღალი სტანდარტის სასტუმროების არარსებობა, მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, დაბალი ხარისხის მომსახურება, კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებში არაადეკვატური პირობები და სერვისის, სუვენირებისა და ხელნაკეთი ნივთების დაბალი ხელმისაწვდომობა. რეგიონის მთავარ ტურისტულ მარშუტს შეადგენს: საფარის მონასტერი, აწყურის ციხე, ზარზმის მონასტერი, ჭულევის მონასტერი, ოქროს ციხე-სიმაგრე, ზანავის ციხე, ხერთვისის ციხე, წუნდას ტბა, ვარძია, რომანოვების რეზიდენცია, ახალციხის რეზიდენცია, აბასთუმნის ობსერვატორია, ფოკას მონასტერი, ტბა ტაბაწყური, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნაქალაქევი ბაკურიანი და ვანის ქვაბები.

<u>მცხეთა-მთიანეთის კონტექსტი</u>- რეგიონის ფართობი 6785 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა- 125 000. რეგიონში შედის 4 მუნიციპალიტეტი და მისი ადმინისტრაციული ცენტრია მცხეთა. მთავარი ურბანულად დასახლებული ცენტრებია მცხეთა და დუშეთი. აქ არის 83 სასტუმრო-მომსახურების ობიექტია, საიდანაც 57%-ს შეადგენს ოჯახის ტიპის სასტუმროები, 39%-ს სასტუმროები, და 2%-ს საოჯახო ტიპის სასტუმროები. სულ არის 65 საკვები მომსახურების ობიექტი, აქედან 55% -რესტორნები, 12% -კაფეები და 11%-სწრაფი კვები ობიექტები, 6% ბარები, 5% კაფე ბარები. რეგიონში 7 საბანკო მომსახურების ოფისია ბანკომატებით. ტურიზმის თვალსაზრისით, რეგიონს გააჩნია სხვადასხვა ტიპის პროდუქტები, როგორიცაა მრავალფეროვანი ეკოსისტემა და კულტურული მემკვიდრეობა მაღალი ხარისხის ტურიზმის პოტენციალით. ტურიზმის პოტენციალის რეალიზებით, ადგილობრივი მოსახლეობა დამატებით სამუშაო ადგილებს შეიძენს, რაც რეგიონში მიგრაციის პრობლემას დააბალანსებს. რეგიონის მთავარი ტურისტული მარშუტს შეადგენს: სვეტიცხოველი, ჯვარი, შიომღვიმე, ანანურის სამონასტრო კომპლექსი, ზედაზენი, ბოდორნას ეკლესია, გერგეტის სამების ეკლესია, მუცო, ჩარგალი, სნოს ციხე, შატილი და სხვ.

RDP-სა და RDP2-ის დაგეგმვისა და მათ ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, პროექტი შემდეგი ორი კომპონენტისაგან შედგება:

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია: (55 მლნ. აშშ დოლარი)

კომპონენტი 1.1: ურბანული აღდგენა და ტურისტული მარშრუტების განვითარება (45 მილიონი აშშ დოლარი). ამ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება: ურბანული აღდგენა, ძველი ქალაქებისა და სოფლებისათვის (მიმდინარეობს შერჩევა), შენობების ფასადების, საზოგადოებრივი სივრცეების, მუზეუმების, გზების, და წყალმომარაგების აღდგენა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების და ობიექტების გაუმჯობესება, ხელმოსაწვდომობისა და პრეზენტაციის ჩათვლით. პროდუქტის შემუშავებისა და მარკეტინგის პოტენციალის, ინფრასტრუქტურული საჭიროებებისა და დასაქმების დონეების საფუძველზე, პროექტი ფოკუსირებას მოახდენს შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი და სათხილამურო ობიექტების დამაკავშირებელი ტურისტული მარშრუტის გაყოლებაზე მდებარე ობიექტებზე.

კომპონენტი 1.2: კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა კერძო სექტორის მოზიდვის მიზნით *(10 მლნ. აშშ დოლარი)*

რეგიონში კერძო სექტორის ინვესტიციების სტიმულირების მიზნით, აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს გარკვეული რაოდენობის კერძო სექტორის ერთეულების მხარდაჭერას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს და შესაძლებლობას განახორციელონ ინვესტირება მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასშტაბით ტურიზმისა და კვების მრეწველობის სფეროში, და რომლებსაც თავის ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობისათვის ესაჭიროებათ დამატებითი ინფრასტრუქტურა (როგორიცაა კომუნიკაციები მათი ინვესტიციების სიახლოვეში, გზები/ტროტუარები, წყალმომარაგება/კანალიზაცია, კავშირგაბმულობა, კავშირი მთავარი ტურისტული მარშრუტის გზასთან და ა.შ.). აღნიშნული დაექვემდებარება შესწავლას შემრჩევი კომიტეტის მხრიდან, და მასზე სათანადო პირობები იქნება მიბმული.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება: (5 მლნ. აშშ დოლარი, IBRD)

საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ეროვნული მუზეუმის, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (მგფ) და სხვა ადგილობრივი და რეგიონული დაწესებულებების ინსტიტუციური შესაძლებლობის და ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება ქვემოთ წარმოდგენილი საქმიანობების განხორციელების მიზნით: დანიშნულების ადგილების მართვა და რეკლამირება, შესაბამისი ინფორმაციის გამავრცელებელი კამპანიის ჩათვლით; მარკეტინგი და რეკლამა; კვალიფიცირებული სამუშაო ძალის და შესაძლებლობების

გამომუშავება; ტექნიკურ-ეკონომიკური წავლების, პროექტირების, მშენებლობის ზედამხედველობის და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მდგრადი მართვის წარმოება; და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობა.

პროექტის მოსალოდნელი შედეგების ინდიკატორებია:

ინფრასტრუქტურული მომსახურება:

- ყოველდღიურად ცენტრალიზებული სასმელი წყლის მიწოდების საათების გაზრდა საპროექტო ტერიტორიებზე;
- გაუმჯობესებული მისასვლელი გზები;

ტურიზმის ეკონომიკა:

- კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდილი მოცულობა სამიზნე ადგილებში;
- სასტუმროების გაზრდილი რაოდენობა ტურისტული მარშრუტების ადგილებში;

ინსტიტუციური შესაძლებლობები:

- ტურისტული სავაჭრო ობიექტების რაოდენობის გაზრდა (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები, მაგ: მუზეუმების საერთო რაოდენობა, გაუმჯობესებული ტურისტული ობიექტები, სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები, ობიექტებზე შესასვლელი ბილეთების სალაროები და ა.შ.).

პროექტი დაეფუძნება მთავრობის მიერ წარსულში განხორციელებულ ინვესტიციებს და დააფინანსებს ქვემოთ მოყვანილი ადმინისტრაციული ერთეულების საინვესტიციო საჭიროებებს: მცხეთა, ხევსურეთი, სტეფანწმინდა, ბორჯომი, ახალციხე, და ახალქალაქი. კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ობიექტები შემოთავაზებულია ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების მშენებლობისათვის: საფარას მონასტერი, ზარზმის მონასტერი, საროს დარბაზის სახლები, ხერთვისის კომპლექსი, ახალქალაქის ციხე-სიმაგრე, ვანის ქვაბები, თმოგვის ციხე-სიმაგრე, სამთავროს მონასტერი, ბაგინეთის სასახლე, არმაზის სასახლე, ჯვრის მონასტერი, ანანურის ციხე-სიმაგრე, სოფელი შატილი და გერგეთის სამების ეკლესია.

უნდა აღინიშნოს, რომ RDP3 პროექტი ჰარმონიაშია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგიონული განვითარების და ტურიზმის სექტორის განვითარების სტრატეგიასთან ორი ბენეფიციარი რეგიონისათვის.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 5 სექტემბერს დაამტკიცა, ხოლო ანალოგიური სტრატეგია სამცხე-ჯავახეთისათვის -

2012 წლის 17 სექტემბერს. ტურიზმის განვითარების სტრატეგიები ამ ორი რეგიონისათვის პროექტების სახით არის ხელმისაწვდომი და ამჟამად განხილვის პროცესშია.

II. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანს წარმოადგენს ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მეთოდის გამოყენებით პროექტისთვის ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მომზადება.

III. მოთხოვნები

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი უნდა მომზადდეს მთლიანად პროექტისათვის და არა თითოეული კომპონენტისათვის ცალ-ცალკე. მოცემული წმინდა ღირებულება, ფინანსური მოგების შიდა ნორმა და ეკონომიკური მოგების შიდა ნორმა საჭიროა გაანგარიშებულ იქნას მომდევნო 20 წლისათვის. პროექტის განხორციელებისათვის განსაზღვრული 5 წლის ჩათვლით.

ფისკალური ანალიზის განხორციელებით უნდა დადგინდეს, ფარავს თუ არა ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობებიდან გადასახადების, პირდაპირი მოსაკრებლების და სხვა წყაროებიდან მთავრობის მიერ მიღებული შემოსავალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დახარჯულ თანხებს.

ეკონომიკური ანალიზთან მიმართებაში საჭიროა ფინანსური ხარჯების კორექტირება და კონვერსიის ფაქტორების გათვალისწინება. ანალიზში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს 7%-იანი დისკონტირების განაკვეთი.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სარგებლის მონეტეზაციისთვის შესაძლებელია აღნიშნული მოსაზრებების გამოყენება:

1. **ტურისტული ვიზიტების, ღამისთევის და ხარჯვის ზრდა** - განვითარებული ინფრასტრუქტურა, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და შედეგად ტურიზმი ხელს შეუწყობს ტურისტების რაოდენობის, ღამისთევის და ხარჯვის ზრდას.

2. **ეკონომიკური საწარმოების რაოდენობისა და მომგებიანობის მატება**-_ტურისტული მარშრუტებისა და ტურიზმის რუკების განვითარება, დანიშნულების მენეჯმენტი და მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების როგორც ახალი ტურისტული დანიშნულების მარკეტინგი/რეკლამა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიზიდავს

კერძო ინვესტიციებს ახალი საწარმოების დაარსებისათვის ან არსებული საწარმოების გაფართოებისათვის;

3. **უძრავი ქონების ფასის მომატება** - ტურიზმის განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შექმნის მეტ შესაძლებლობას ბიზნეს ინვესტიციებისათვის, რაც თავის მხრივ გაზრდის მოთხოვნას უძრავ ქონებაზე და შესაბამისად გამოიწვევს უძრავი ქონების ფასის მატებას.

4. **დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა**- პროექტის განხორციელების პერიოდში სხვადასხვა აქტივობების შედეგად შეიქმნება დროებითი სამუშაო ადგილები. დროებითი სამუშაო ადგილები ასევე შეიქმნება მოზიდული კერძო კაპიტალის დაფინანსებულ მშენებლობებზე.

ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მოსამზადებლად, საჭიროა შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- პირველადი წყაროების შეგროვება მცირე მასშტაბის კვლევების საშუალებით, სტრუქტურული კითხვარების გამოყენებით და პროექტში ჩართული მხარეების შერჩეული ჯგუფების ადმინისტრირებით (რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორები);
- მეორადი მონაცემების შეგროვება სამთავრობო (ტურიზმის ეროვნული სააგენტო, ჯეოსტატი, ფინანსთა სამინისტრო) და კერძო სექტორიდან (უძრავი ქონების ბროკერები);
- საველე ვიზიტი და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის შეგროვება.

IV. კვალიფიკაცია და გამოცდილება

საკონსულტაციო მომსახურების განხორციელებისთვის კონსულტანტს მოეთხოვება ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მომზადების სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება. სასურველია ინფრასტრუქტურული და ტურიზმის განვითარების პროექტების ანალიზის კუთხით.

V. ანგარიშგების ვალდებულება

მიმწოდებელმა (კონსულტანტი) უნდა წარმოადგინოს:

1. წინასწარი ანგარიშის (კონსულტანტის საქმიანობის განხორციელების დეტალური დღიური გრაფიკი, მეთოდოლოგია, და სხვ.) წარმოდგენა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2015 წლის 12 იანვარს
2. შუალედური ანგარიშის -(ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის პირველადი ანგარიში) წარმოდგენა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2015 წლის 20 იანვარს.
3. საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2015 წლის 30 იანვარს.

საბოლოო ანგარიშის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

ანგარიშნი უნდა შეიცავდეს სულ მცირე 40 გვერდს (დანართის გარეშე). ყველა ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი 3 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიები - Sylfaen და Times New Roman ფონტში #12, Microsoft Office Word/Excel.

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს (<u>მინიმუმ</u>) შემდეგ თავებს:

I. მოკლე მიმოხილვა

II. პროექტის აღწერა

ა. შესავალი

III. მონაცემთა ანალიზი

ა. სტატისტიკური მონაცემები

ბ. ვიზიტორთა კვლევა და ინტერვიუები

IV. მოგება ანალიზი

ა. ფისკალური ზემოქმედების ანალიზი

ბ. ეკონომიკური ზემოქმედების ანალიზი

დანართი

დანართი 1: კითხვარები

დანართი 2: სია (სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები)

დანართი 3: საგადასახადო შემოსავლების მონაცემები რაიონებში

VI. ტექნიკური დავალების ხანგრძლივობა

მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან და დასრულდეს არაუგვიანეს 2015 წლის 30 იანვარს.

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N2424 2014 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტისათვის (RDP-III) კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასების ანგარიშის (SECHSA) მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

ბ) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტის (RDP-III) ეკონომიკური ანალიზის დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

გ) რეგიონული განვითარების მე-3 პროექტის (RDP-III) ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურების შესყიდვა;

დ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, 2014 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან;

ე) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ქვეპროექტებიდან პირველი 5 (ხუთი) ქვეპროექტისათვის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება;

ვ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების, გარდა ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული ქვეპროექტებიდან პირველ 5 (ხუთი) ქვეპროექტთან დაკავშირებული ღონისძიებებისა, განხორციელებისათვის

საჭირო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელება.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს წინადადებები 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**